შპს „ბიდი კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფინანსური ანგარიშგება
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშება 7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
1. შესავალი 10
2. მომზადების საფუძვლები 10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები 19
5. წინა პერიოდის კლასიფიკაციების შესწორება 21
6. ამონაგები და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 22
7. სხვა შემოსავალი 22
8. გაყიდვის და მიწოდების ხარჯები 22
9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 22
10. გაუფასურების რეზერვის აღდგენა/(ხარჯი), წმინდა 23
11. სხვა საოპერაციო ხარჯები 23
12. არასაოპერაციონ (ხარჯი)/შემოსავალი, წმინდა 23
13. საპროცენტო ხარჯი, წმინდა 24
14. საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი 25
15. მოგების გადასახადის ხარჯი 25
16. ძირითადი საშუალებები 26
17. აქტივი გამოყენების უფლებით 27
18. აქტივი დაბრუნების უფლებით და ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულება 28
19. გაცემული სესხები 29
20. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები 30
21. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 30
22. ფული და ფულის ეკვივალენტები 31
23. საიჯარო ვალდებულება 31
24. საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა 31
25. მოკლევადიანი სესხები 32
26. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 33
27. კაპიტალი 33
28. ფინანსური რისკის მართვა 33
29. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები 36
30. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები 37

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბიდი კომპანის“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ,,ბიდი კომპანის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - *„პირობითი მოსაზრების საფუძველი“* აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიამ 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არასაოპერაციო ხარჯად ჩამოწერა 139,156 ლარის საბალანსო ღირებულების ძირითადი საშუალებები (პროდუქციის განსათავსებელი თაროები), რომელზეც ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ კომპანია აკონტროლებდა აღნიშნულ ძირითად საშუალებებს 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ხარჯებში ჩამოწერილი ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება 881,021 ლარია, ხოლო დაგროვილი ცვეთა - 741,865 ლარი. ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება იმის შესახებ, რომ ჩამოწერის ხარჯი ეკუთვნის 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშებაში წარმოდგენილი წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადების ელემენტებში 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება - საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენა

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 30-ე განმარტებით შენიშვნაზე, სადაც აღწერილია გარემოებები, რომელსაც ადგილი ჰქონდა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებებზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა ფინანსურ ანგარიშგებებთან არსებითად თანხვდენილი და მარეგულირებელი ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის განცხადება. ამასთან დაკავშირებით, არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, კომპანიის 2019 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვდენილია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

გარიგების პარტნიორი მოცემული აუდიტისა, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, არის გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თიეი“-ს სახელით

30 ივლისი, 2020

თბილისი, საქართველო

Nexia TA

Member of Nexia International

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

გარიგების პარტნიორი მოცემული აუდიტისა, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, არის გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თიეი“-ს სახელით

30 ივლისი, 2020

თბილისი, საქართველო

შპს „ბიდი კომპანი“
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	6	23,696,365	20,287,816
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(18,440,239)	(15,256,125)
საერთო მოგება		**5,256,126**	**5,031,691**
სხვა შემოსავალი	7	1,261,954	924,679
გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	8	(3,624,769)	(2,318,928)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(2,074,914)	(2,721,087)
გაუფასურების რეზერვის აღდგენა/(ხარჯი), წმინდა	10	45,296	(370,770)
სხვა საოპერაციო ხარჯები	11	(192,833)	(123,000)
საოპერაციო შემოსავალი:		**670,860**	**422,585**
არასაოპერაციო (ხარჯი)/ შემოსავალი, წმინდა	12	(128,601)	230,079
მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან		10,547	(56,614)
საპროცენტო ხარჯი, წმინდა	13	(465,198)	(101,901)
საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი	14	(113,464)	50,102
მოგება დაბეგვრამდე		**(25,856)**	**544,251**
მოგების გადასახადი ხარჯი	15	(41,677)	(405,317)
წლის მოგება		**(67,533)**	**138,934**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**(67,533)**	**138,934**

დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით:

დიმიტრი მესხიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

აკაკი შარიქაძე
ფინანსური დირექტორი

შპს „ბიდი კომპანი“
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	6	23,696,365	20,287,816
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(18,440,239)	(15,256,125)
საერთო მოგება		**5,256,126**	**5,031,691**
სხვა შემოსავალი	7	1,261,954	924,679
გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	8	(3,624,769)	(2,318,928)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(2,074,914)	(2,721,087)
გაუფასურების რეზერვის აღდგენა/(ხარჯი), წმინდა	10	45,296	(370,770)
სხვა საოპერაციო ხარჯები	11	(192,833)	(123,000)
საოპერაციო შემოსავალი:		**670,860**	**422,585**
არასაოპერაციო (ხარჯი)/ შემოსავალი, წმინდა	12	(128,601)	230,079
მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან		10,547	(56,614)
საპროცენტო ხარჯი, წმინდა	13	(465,198)	(101,901)
საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი	14	(113,464)	50,102
მოგება დაბეგვრამდე		**(25,856)**	**544,251**
მოგების გადასახადი ხარჯი	15	(41,677)	(405,317)
წლის მოგება		**(67,533)**	**138,934**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**(67,533)**	**138,934**

დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით:

დიმიტრი მესხიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

აკაკი შარიქაძე
ფინანსური დირექტორი

შპს „ბიდი კომპანი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	**16**	290,534	702,634
არამატერიალური აქტივები		2,112	2,381
აქტივი გამოყენების უფლებით	**17**	498,741	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		**791,387**	**705,015**
მოკლევადიანი აქტივები			
აქტივი დაბრუნების უფლებით	**18**	35,834	27,547
წინასწარ გადახდები		3,608	392,437
გაცემული სესხები	**19**	203,396	33,932
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	**20**	3,447,684	2,907,639
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**21**	5,208,765	4,423,877
ფული და ფულის ეკვივალენტები	**22**	1,754,061	393,113
სულ მოკლევადიანი აქტივები		**10,653,348**	**8,178,545**
სულ აქტივები		**11,444,735**	**8,883,560**
კაპიტალი და ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	**23**	377,730	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**377,730**	**-**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	**24**	43,212	153,043
ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულება	**18**	44,615	35,537
მოკლევადიანი სესხები	**25**	8,547,596	5,565,358
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	**23**	138,398	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**26**	485,003	1,104,013
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**9,258,824**	**6,857,951**
სულ ვალდებულებები		**9,636,554**	**6,857,951**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	**27**	1,000	1,000
გაუნაწილებელი მოგება	**27**	1,807,181	2,024,609
სულ კაპიტალი		**1,808,181**	**2,025,609**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**11,444,735**	**8,883,560**

დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით:

დიმიტრი მესხიშვილი	**აკაკი შარიქაძე**
აღმასრულებელი დირექტორი	**ფინანსური დირექტორი**

შპს „ბიდი კომპანი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	16	290,534	702,634
არამატერიალური აქტივები		2,112	2,381
აქტივი გამოყენების უფლებით	17	498,741	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		**791,387**	**705,015**
მოკლევადიანი აქტივები			
აქტივი დაბრუნების უფლებით	18	35,834	27,547
წინასწარ გადახდები		3,608	392,437
გაცემული სესხები	19	203,396	33,932
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	20	3,447,684	2,907,639
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	21	5,208,765	4,423,877
ფული და ფულის ეკვივალენტები	22	1,754,061	393,113
სულ მოკლევადიანი აქტივები		**10,653,348**	**8,178,545**
სულ აქტივები		**11,444,735**	**8,883,560**
კაპიტალი და ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	23	377,730	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**377,730**	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	24	43,212	153,043
ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულება	18	44,615	35,537
მოკლევადიანი სესხები	25	8,547,596	5,565,358
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	23	138,398	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26	485,003	1,104,013
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**9,258,824**	**6,857,951**
სულ ვალდებულებები		**9,636,554**	**6,857,951**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	27	1,000	1,000
გაუნაწილებელი მოგება	27	1,807,181	2,024,609
სულ კაპიტალი		**1,808,181**	**2,025,609**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**11,444,735**	**8,883,560**

დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით:

დიმიტრი მესხიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

აკაკი შარიქაძე
ფინანსური დირექტორი

შპს „ბიდი კომპანი“ 205295296 BD COMPANY LTD GEORGIA

შენიშვნები 10-37 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

შპს „ბიდი კომპანი“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა N27)	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2017	**1,000**	**5,899,769**	**5,900,769**
სულ წლის სრული შემოსავალი	-	138,934	**138,934**
გადახდილი დივიდენდები	-	(4,014,094)	**(4,014,094)**
31 დეკემბერი 2018	**1,000**	**2,024,609**	**2,025,609**
სულ წლის სრული შემოსავალი	-	(67,533)	**(67,533)**
გადახდილი დივიდენდები	-	(149,895)	**(149,895)**
31 დეკემბერი 2019	**1,000**	**1,807,181**	**1,808,181**

დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით:

დიმიტრი მესხიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

აკაკი შარიქაძე
ფინანსური დირექტორი

შპს „ბიდი კომპანი“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა N27)	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2017	**1,000**	**5,899,769**	**5,900,769**
სულ წლის სრული შემოსავალი	-	138,934	**138,934**
გადახდილი დივიდენდები	-	(4,014,094)	**(4,014,094)**
31 დეკემბერი 2018	**1,000**	**2,024,609**	**2,025,609**
სულ წლის სრული შემოსავალი	-	(67,533)	**(67,533)**
გადახდილი დივიდენდები	-	(149,895)	**(149,895)**
31 დეკემბერი 2019	**1,000**	**1,807,181**	**1,808,181**

დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით:

დიმიტრი მესხიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

ვ. ჭარიქაძე
ფინანსური დირექტორი

შპს „ბიდი კომპანი“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე:		(25,856)	544,251
ცვეთა და ამორტიზაცია	9	293,102	391,370
საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი	14	113,464	(50,102)
ზარალი/(მოგება) ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან		(10,547)	56,614
გაუფასურების რეზერვის (აღდგენა)/ხარჯი	10	(45,296)	370,770
საპროცენტო შემოსავალი	13	(25,180)	(47,456)
საპროცენტო ხარჯი	13	490,378	149,357
მარაგების ჩამოწერა	11	192,833	123,000
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	16	253,899	-
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**1,236,797**	**1,537,804**
სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ზრდა		(352,336)	(1,690,618)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(863,581)	(1,918,549)
წინასწარ გადახდილი თანხები ზრდა		-	(152,929)
კრედიტორული დავალიანების (შემცირება)/ზრდა		(609,932)	902,765
გადასახადების ზრდა		(108,712)	107,209
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები პროცენტამდე და გადასახადებამდე		**(1,934,561)**	**(2,752,122)**
გადახდილი პროცენტი		(465,221)	(139,267)
გადახდილი მოგების გადასახადი		(42,796)	(405,317)
მიღებული პროცენტი		11,778	97,198
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობაში		**(496,239)**	**(447,386)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		-	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული თანხები		23,592	21,995
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(2,565)	(202,535)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(932)	-
გაცემული სესხები		(389,376)	(509,182)
გაცემული სესხის ძირის დაფარვებიდან მიღებული თანხები		389,295	1,005,044
საინვესტიციო საქმიანობაში (გამოყენებული)/ მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**20,014**	**315,322**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მოკლევადიანი სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები		17,650,018	19,946,949
სესხების დაფარვა		(14,745,380)	(14,738,770)
გადახდილი ფინანსური იჯარა		(169,399)	-
გადახდილი დივიდენდები	27	(149,895)	(4,014,094)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		**2,585,344**	**1,194,085**
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		1,411,355	(152,297)
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	22	393,113	498,897
კურსთაშორისი სხვაობის ეფექტი ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე	14	(50,407)	46,513
ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით		**1,754,061**	**393,113**

დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით:

დიმიტრი მესხიშვილი	**აკაკი შარიქაძე**
აღმასრულებელი დირექტორი	**ფინანსური დირექტორი**

შპს „ბიდი კომპანი“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე:		(25,856)	544,251
ცვეთა და ამორტიზაცია	9	293,102	391,370
საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი	14	113,464	(50,102)
ზარალი/(მოგება) ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან		(10,547)	56,614
გაუფასურების რეზერვის (აღდგენა)/ხარჯი	10	(45,296)	370,770
საპროცენტო შემოსავალი	13	(25,180)	(47,456)
საპროცენტო ხარჯი	13	490,378	149,357
მარაგების ჩამოწერა	11	192,833	123,000
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	16	253,899	-
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**1,236,797**	**1,537,804**
სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ზრდა		(352,336)	(1,690,618)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(863,581)	(1,918,549)
წინასწარ გადახდილი თანხები ზრდა		-	(152,929)
კრედიტორული დავალიანების (შემცირება)/ზრდა		(609,932)	902,765
გადასახადების ზრდა		(108,712)	107,209
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები პროცენტამდე და გადასახადებამდე		**(1,934,561)**	**(2,752,122)**
გადახდილი პროცენტი		(465,221)	(139,267)
გადახდილი მოგების გადასახადი		(42,796)	(405,317)
მიღებული პროცენტი		11,778	97,198
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობაში		**(496,239)**	**(447,386)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		-	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული თანხები		23,592	21,995
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(2,565)	(202,535)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(932)	-
გაცემული სესხები		(389,376)	(509,182)
გაცემული სესხის ძირის დაფარვებიდან მიღებული თანხები		389,295	1,005,044
საინვესტიციო საქმიანობაში (გამოყენებული)/ მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**20,014**	**315,322**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მოკლევადიანი სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები		17,650,018	19,946,949
სესხების დაფარვა		(14,745,380)	(14,738,770)
გადახდილი ფინანსური იჯარა		(169,399)	-
გადახდილი დივიდენდები	27	(149,895)	(4,014,094)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		**2,585,344**	**1,194,085**
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		1,411,355	(152,297)
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	22	393,113	498,897
კურსთაშორისი სხვაობის ეფექტი ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე	14	(50,407)	46,513
ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით		**1,754,061**	**393,113**

დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით:

დიმიტრი მესხიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

ფინანსური დირექტორი

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ბიდი კომპანი“ (შემდგომში „კომპანია”) დაარსდა 2009 წლის 22 დეკემბერს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა და დისტრიბუცია იმპორტირებული საკონდიტრო ნაწარმით. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, დავით ჯაბიძის ქუჩა #8.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მფლობელები იყვნენ გიორგი მარგიანი 75%-იანი წილით და დიმიტრი მესხიშვილი 25%-იანი წილით.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის გენერალური დირექტორია სოლომონ ნავდარაშვილი.

2. მომზადების საფუძვლები

ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

წინამდებარე ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელშიც მოხდა ფასს 16 „იჯარის“ გამოყენება. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება აღწერილია შენიშვნა 3-ში „სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებების“ ნაწილში.

თანხები მოცემულია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში ლარში.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, კომპანიის მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

COVID 19-ის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, არაერთი ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანიამ მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება (იხილეთ შენიშვნა 30) და შედეგად, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

საანგარიშგებო ვალუტა. კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.
უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
1 USD/GEL	2.8677	2.6766
1 EUR/GEL	3.2095	3.0701

საშუალო კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2019	2018
1 USD/GEL	2.8192	2.5345
1 EUR/GEL	3.1553	2.9913

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები

კომპანიამ გამოიყენა ახალი სააღრიცხვო დებულებები, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან:

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16 ანაცვლებს ბასს 17-ს *„იჯარა“* და შემდეგ სამ ინტერპრეტაციას: ფასიკ 4 *„როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“*, იმკ 15 *„საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“* და იმკ 27 *„გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“*.

ფასს 16-ის მიხედვით მოიჯარე აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს ქვემდებარე აქტივით და საიჯარო ვალდებულებას იმ იჯარებზე, რომლებიც მანამდე კლასიფიცირებული იყო ჩვეულებრივ იჯარად. არსებობს აღიარების გამონაკლისები მოკლევადიანი იჯარებისთვის (იჯარა, რომლის ვადა იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის შეადგენს არაუმეტეს 12 თვეს) და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო ერთეულებისთვის.

ახალი სტანდარტი დაინერგა მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით; კომპანია ფასს 16-ის გამოყენების კუმულაციური დაბალანსების კორექტირებას საწყის ბალანსზე აღიარებს წინა პერიოდის შესადარისი მონაცემების გადაანგარიშების გარეშე.

სტანდარტის დანერგვის თარიღისთვის გაფორმებული ხელშეკრულებებისთვის, კომპანიამ არჩია გამოეყენებინა ბასს 17-ით და ფასიკ 4-ით მოცემული იჯარის განმარტება და არ მიუსადაგა ფასს 16 იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც არ იყო იდენტიფიცირებული, როგორც იჯარა, ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია არ ითვალისწინებს თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოყენების უფლების შეფასებისას ფასს 16-ის თავდაპირველად გამოყენების თარიღისთვის, კერძოდ, 2019 წლის 1 იანვარს. კომპანია იჯარებზე ასევე აღიარებს გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივს საიჯარო ვალდებულების ოდენობით, რომელიც კორექტირდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იჯარასთან დაკავშირებული ყველა წინასწარ გადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადასახადების თანხით.

სტანდარტის თავდაპირველად გამოყენების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებაზე განხილვის ნაცვლად მოიჯარემ ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით გააანალიზა იყო თუ არა იჯარა ზარალიანი სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღამდე.

კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს განთავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

იმ იჯარისთვის, რომელიც წინათ კლასიფიცირებული იყო როგორც ფინანსური იჯარა, სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება იქნება საიჯარო აქტივისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება, რომელიც მათ ჰქონდა უშუალოდ ბასს 17-ის გამოყენებით შეფასებამდე.

ფასს 16-ზე გადასვლისას, მოიჯარის ზღვრული საშუალო შეწონილი სასესხო განაკვეთი შეადგენს 8%-ს.

კომპანიამ გამოიყენა წარსული გამოცდილება იჯარის ვადის განსაზღვრისას, იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის მოლოდინების შეფასებისას.

ფული და ფულის ეკვივალენტები
ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს ბანკში, რომელიც ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანაგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება „*სამართლიანი* ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება „ რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივი ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავლში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს (ECL). ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის ECL არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრული შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება ზარალში.

კომპანია დებიტორული დავალიანებებისა და გაცემული სესხების გაუფასურების გაანგარიშებისას იყენებს გამარტივებულ მიდგომას ფასს 9 ის შესაბამისად. დებიტორული დავალიანებები, რომელიც არ გაუფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია მათ გაუფასურებას განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია დავალაინების ამოღების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	180 დღეზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საეჭვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

აქტივების აღიარება/აღიარების შეწყვეტა სრულად მოხდება თუ აქტივები აღიარდება მხოლოდ კომპანიის შენარჩუნებული მოცულობის მიხედვით დამოკიდებულია თითოეული ფაქტის დეტალურ ანალიზზე.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვაა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში ხვდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

როგორც წესი, ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება კრედიტორული დავალიანება და მიღებული სესხები. ჩვეულებრივ, არ ხდება იმ ვალდებულებების გადაფასება, რომლებიც კლასიფიცირებულია ამ კატეგორიაში, ვინაიდან ვალდებულების სიზუსტე მაღალია, ხოლო დაფარვის ვადა მოკლევადიანი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მატერიალური ფასეულობების თვითღრებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო მოსაკრებელს და გადასახადს, ტრანსპორტირების, დატვირთვის და სხვა დანახარჯებს, რაც პირდაპირ არის მიკუთვნებადი საქონლის შეძენაზე. მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობისას, შემცირებული შეფასებული დასრულების და გაყიდვის ხარჯებით.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ზარალი. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან, კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებთ განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში.

კომპანია არ ფლობს მიწას. შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
მანქანა-დანადგარები	8
საოფისე აღჭურვილობა	5
კომპიუტერები და სხვა ტექნიკა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
თაროები	5
სხვა ძირითადი საშუალებები	2 - 12.5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, არაფინანსური აქტივებზე, გუდვილის გარდა, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

წინასწარ გადახდები

წინასწარ გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარ გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარ გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარ გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, კომპანიამ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ

ამ განმარტების გამოსაყენებლად კომპანიამ უნდა შეაფასოს:

ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს განთავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

კომპანია როგორც მეიჯარე

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ფასს 16 ის მიღების შემდეგ არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. როგორც მეიჯარე, კომპანია აკლასიფიცირებს იჯარას როგორც საოპერაციოს ან ფინანსურს. იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, თუ მას გადააქვს ძირითადი

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რისკები და ანაზღაურება ძირითადი აქტივების საკუთრებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც ოპერაციული იჯარა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონომდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანაგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის მოცულობა და მისი ცვლილებები განისაზღვრება კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი

შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლებისგან.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. კომპანია შემოსავალს საქონელის რეალიზაციიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცრებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს,

რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლისა ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდით, საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯებში კლასიფიცირდება ხელშეკრულების მხარეების მიერ გადახდილი და მიღებული ყველა საზღაური, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, საოპერაციო ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

საზღაურები, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავენ საზღაურებს, რომლებიც მიღებულ ან გადახდილ იქნა სუბიექტის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასა ან შეძენასთან ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან დაკავშირებით, მაგალითად როგორიცაა კრედიტუნარიანობის დადგენისთვის, გარანტიებისა თუ უზრუნველყოფის შეფასებისთვის, ინსტრუმენტის პირობების შეთანხმებისთვის და გარიგებასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამუშავების საზღაურები.

აქტივი დაბრუნების უფლებით და ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულება

კომპანია ცალკე წარადგენს დაბრუნების უფლებასა და ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებულ ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აღნიშნული თანხები წარმოადგენს იმ პროდუქციის თვითღირებულებას რომლის დაბრუნებაც მოსალოდნელია მომხმარებლის მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მიერ განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს აქტივის მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. ნებისმიერი ზემოაღნიშნული ფაქტორის ან შეფასების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების კორექტირება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების გაუფასურება

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით, კომპანია იყენებს შეფასებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულების დასადგენად ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს.

მარაგების ვარგისიანობის ვადის გათვალისწინებით, კომპანია აფასებს დაძველებული და რთულად რეალიზებადი ერთეულების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას საანგარიშო პერიოდის ბოლოს და შემდგომ ნაწილობრივ ჩამოწერს მარაგების თვითღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ძირითადად ეფუძნება დაშვებას მომავალ მოთხოვნაზე დროის განსაზღვრულ პერიოდში.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების, მათ შორის გაცემული სესხების გაუფასურება

კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის დებიტორულ დავალიანებას, ასევე გაცემულ სესხებს გაუფასურების შესაფასებლად. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის ფასს 9-ის მიხედვით ანარიცხი დამოკიდებულია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე (ECL), რომელიც განისაზღვრება შემდგომი თორმეტი თვის განმავლობაში დეფოლტის ალბათობით, თუ არ მოხდა მნიშვნელობანი ზრდა საკრედიტო რისკში წარმოშობის შემდგომ. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება “შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების “(POCI)-ის განმარტებას, ანარიცხი დამოკიდებულია ELC-ის ცვლილებაზე აქტივის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში.

იჯარის გაგრძელების უფლება.

როდესაც საწარმოს აქვს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება, ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს, საკმარისად სარწმუნო იქნება თუ არა ამ უფლების გამოყენება. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტს და გარემოებას, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც გაწეული იქნება აქტივის შესაცვლელად, თუ ეს უფლება არ იქნება გამოყენებული, რაც მათ დაეხმარება საიჯარო პირობების განსასაზღვრად. ხელმძღვანელობა თვლის რომ მათი შეფასება ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ადეკვატურია.

აქტივების დაბრუნების უფლებისა და ფულადი სახსრების დაბრუნებების მოსალოდნელი ოდენობის აღიარება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს დაბრუნებების მოსალოდნელ ოდენობას. ფულადი სახსრების დაბრუნების ვალდებულების ასაღიარებლად გამოიყენება წარსული პერიოდების ინფორმაცია, კერძოდ, წლის ბოლო სამი თვის განმავლობაში დაფიქსირებული გაყიდვები და დაბრუნებების პროცენტულობა. აქტივების დაბრუნების უფლება შეფასებულია როგორც წინა თვეში გაყიდული პროდუქციის ღირებულება ამ პროდუქტებისთვის საშუალო მარჟის გამოყენებით.

5. წინა პერიოდის კლასიფიკაციების შესწორება

კომპანიამ, ფინანსური ანგარიშგების უკეთ წარდგენის მიზნით, მოახდინა ცალკეულ ელემენტებში კლასიფიკაციის ცვლილება. აღნიშნული რეკლასიფიკაციები არ წარმოადგენს შეცდომის გასწორებას. რეკლასიფიკაციებმა შემდეგი გავლენა იქონია კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე და მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე.

ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე:

31 დეკემბერი 2018	წინა ანგარიშის მიხედვით	რეკლასიფიკაცია	კორექტირებული თანხები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,451,424	(27,547)	4,423,877
აქტივი დაბრუნების უფლებით	-	27,547	27,547
ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულება	-	35,537	35,537
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,139,550	(35,537)	1,104,013

ეფექტი მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე

2018	წინა ანგარიშის მიხედვით	რეკლასიფიკაცია	კორექტირებული თანხები
ამონაგები	21,438,029	(1,150,213)	20,287,816
სხვა შემოსავალი	-	924,679	924,679
არასაოპერაციო (ხარჯი)/ შემოსავალი, წმინდა	4,545	225,534	230,079

6. ამონაგები და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ამონაგები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	24,224,700	20,583,564
დაბრუნებები	(528,335)	(295,748)
სულ ამონაგები	**23,696,365**	**20,287,816**

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მათ მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. 2019 წელს გაყიდული საქონლის თვითღირებულებამ შეადგინა 18,440,239 ლარი (2018: 15,256,125 ლარი).

7. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მოიცავს მომწოდებლისგან მიღებულ თანხებს პროდუქციის პრომოციისთვის და ასევე სასესიო ბონუსს. 2019 წელს მიღებულმა სხვა შემოსავალმა შეადგინა 1,261,954 ლარი (2018:924,679 ლარი).

8. გაყიდვის და მიწოდების ხარჯები

გაყიდვის და მიწოდების 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
ხელფასის და ბონუსის ხარჯი	1,441,893	1,368,267
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯი	2,001,049	945,554
სხვა ხარჯი	181,827	5,107
სულ გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	**3,624,769**	**2,318,928**

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
ხელფასის და ბონუსის ხარჯი	822,064	1,230,613
საწვავის ხარჯი	339,042	312,945
ცვეთა და ამორტიზაცია	293,103	391,370
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული ხარჯები	277,682	155,185
წარმომადგენლობითი ხარჯი	43,312	55,417
დაზღვევის ხარჯი	36,698	39,716
იჯარის ხარჯი	63,345	303,252
მივლინების ხარჯი	30,078	74,952
კომუნალური ხარჯები	24,999	29,314
საკანცელარიო ხარჯი	5,322	7,870
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგებისა	5,124	8,578
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	134,145	111,875
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**2,074,914**	**2,721,087**

10. გაუფასურების რეზერვის აღდგენა/(ხარჯი), წმინდა

გაუფასურების რეზერვის აღდგენა/(ხარჯი) 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
გაუფასურების რეზერვის (ხარჯი)	**716,607**	**474,577**
გაცემული სესხები	45,202	55,915
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	671,405	418,662
გაუფასურების რეზერვის აღდგენა	**(761,903)**	**(103,807)**
გაცემული სესხები	(195,000)	(10,597)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(566,903)	(93,210)
სულ გაუფასურების რეზერვის აღდგენა/(ხარჯი)	**(45,296)**	**370,770**

11. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს ვადაგასული მარაგების ჩამოწერის ხარჯებს, რამაც 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შეადგინა 192,833 ლარი (2018: 123,000 ლარი).

12. არასაოპერაციონ (ხარჯი)/შემოსავალი, წმინდა

	2019	2018
არასაოპერაციო შემოსავალი	103,997	230,079
არასაოპერაციო ხარჯი	(232,598)	-
სულ არასაოპერაციო (ხარჯი)/შემოსავალი, წმინდა	**(128,601)**	**230,079**

13. საპროცენტო ხარჯი, წმინდა

საპროცენტო ხარჯი და საპროცენტო შემოსავალი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	2019	2018
საპროცენტო შემოსავალი			**25,180**	**47,456**
შპს "ბიდი პლიუსი"	12%	ქართული ლარი	23,400	23,400
შპს "აზტრეიდი"	8%	ევრო	111	-
შპს "კავკაზ ტრეიდი"	14%	ქართული ლარი	106	-
შპს "კავკაზ ტრეიდი"	14%	ქართული ლარი	181	-
შპს "აის ლენდ ჯორჯია"	14%	ქართული ლარი	59	-
შპს "აის ლენდ ჯორჯია"	14%	ქართული ლარი	1,323	-
შპს "ბიდი პლიუსი"	10%	აშშ დოლარი	-	780
შპს ბრენდ სითი	12%	ქართული ლარი	-	24
შპს "აის ლენდ ჯორჯია"	12%	ქართული ლარი	-	690
შპს "აის ლენდ ჯორჯია"	12%	ქართული ლარი	-	437
შპს "აის ლენდ ჯორჯია"	12%	ქართული ლარი	-	266
შპს "აის ლენდ ჯორჯია"	12%	ქართული ლარი	-	427
შპს "ბრენდსითი"	14%	ქართული ლარი	-	13,791
შპს "გეო ქლოუსინგ"	12%	ქართული ლარი	-	6,284
შპს "აზტრეიდი"	8%	აშშ დოლარი	-	1,357
საპროცენტო ხარჯი			**490,378**	**149,357**
ფ.პ. ნინო ჭელიძე	8%	ევრო	25,379	4,700
ფ.პ. ნინო ჭელიძე	8%	აშშ დოლარი	22,716	4,831
ფ.პ. ნინო ჭელიძე	8%	აშშ დოლარი	11,358	1,942
ფ.პ. ირაკლი მესხიშვილი	8%	აშშ დოლარი	409	-
ფ.პ. ირაკლი მესხიშვილი	8%	აშშ დოლარი	45,432	4,109
ფ.პ. გიორგი მარგიანი	8%	აშშ დოლარი	11,358	1,793
ფ.პ. გიორგი მარგიანი	8%	აშშ დოლარი	6,817	35
ბაზის ბანკი	11%	ქართული ლარი	24,453	-
ბაზის ბანკი	11%	ქართული ლარი	299,850	59,589
შპს "აის ლენდ ჯორჯია"	12%	ქართული ლარი	-	2,758
შპს "აის ლენდ ჯორჯია"	12%	ქართული ლარი	-	4,932
ბაზის ბანკი	11%	ქართული ლარი	-	2,018
საქართველოს ბანკი	11%	ქართული ლარი	-	53,085
შპს "აის ლენდ ჯორჯია"	12%	ქართული ლარი	-	9,565
იჯარასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი	8%	ქართული ლარი	42,606	-
სულ საპროცენტო ხარჯი, წმინდა			**(465,198)**	**(101,901)**

14. საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი

საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება	**37,889**	**103,792**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	25,809	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,822	91,357
მოკლევადიანი სესხები	1,992	9,361
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	3,074
გაცემული სესხები	6,266	-
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	**151,353**	**53,690**
მოკლევადიანი სესხები	97,043	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	54,229	44,844
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-
გაცემული სესხები	-	8,143
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	81	703
საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი	**(113,464)**	**50,102**

15. მოგების გადასახადის ხარჯი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორიცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის განხორციელდა დაგროვებული მოგების განაწილება, შედეგად მოგების გადასახადი არის 41,677 ლარი (2018: 405,317 ლარი).

16. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მანქანა დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა	კომპიუტერები და სხვა ტექნიკა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	თაროები	სხვა	სულ
თვითღირებულება								
2017 წლის 31 დეკემბერი	**720**	**17,800**	**54,064**	**27,404**	**451,071**	**2,144,446**	**71,959**	**2,767,464**
შეძენა	13,390	-	8,587	5,624	135,877	19,361	19,696	**202,535**
გასვლა	-	-	-	(932)	(11,442)	(146,601)	(11,276)	**(170,251)**
2018 წლის 31 დეკემბერი	**14,110**	**17,800**	**62,651**	**32,096**	**575,506**	**2,017,206**	**80,379**	**2,799,748**
შეძენა	-	253	1,768	-	-	544	-	**2,565**
გასვლა	-	-	-	-	(64,084)	(376,411)	-	**(440,495)**
ჩამოწერა	-	-	-	-	-	(1,250,013)	(7,657)	**(1,257,670)**
2019 წლის 31 დეკემბერი	**14,110**	**18,053**	**64,419**	**32,096**	**511,422**	**391,326**	**72,722**	**1,104,148**
ცვეთა და გაუფასურება								
2017 წლის 31 დეკემბერი	**(312)**	**(6,929)**	**(29,760)**	**(6,414)**	**(178,308)**	**(1,528,883)**	**(49,199)**	**(1,799,805)**
წლის დარიცხვა	(750)	(2,696)	(10,602)	(5,710)	(93,855)	(265,910)	(9,427)	**(388,950)**
გაყიდული ქონების ცვეთა	-	-	-	-	4,958	82,940	3,743	**91,641**
2018 წლის 31 დეკემბერი	**(1,062)**	**(9,625)**	**(40,362)**	**(12,124)**	**(267,205)**	**(1,711,853)**	**(54,883)**	**(2,097,114)**
წლის დარიცხვა	(1,764)	(2,696)	(8,048)	(6,111)	(97,811)	(24,245)	(7,046)	**(147,721)**
გაყიდული ქონების ცვეთა	-	-	-	-	54,572	372,878	-	**427,450**
ჩამოწერილი ქონების ცვეთა	-	-	-	-	-	996,114	7,657	**1,003,771**
2019 წლის 31 დეკემბერი	**(2,826)**	**(12,321)**	**(48,410)**	**(18,235)**	**(310,444)**	**(367,106)**	**(54,272)**	**(813,614)**
წმინდა საბალანსო ღირებულება								
2018 წლის 31 დეკემბერი	**13,048**	**8,175**	**22,289**	**19,972**	**308,301**	**305,353**	**25,496**	**702,634**
2019 წლის 31 დეკემბერი	**11,284**	**5,732**	**16,009**	**13,861**	**200,978**	**24,220**	**18,450**	**290,534**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად გაცვეთილია 485,440 ლარის ისტორიული ღირებულების მქონე ძირითადი საშუალებები (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1,135,308 ლარის ისტორიული ღირებულების მქონე ძირითადი საშუალებები).

17. აქტივი გამოყენების უფლებით

აქტივი გამოყენების უფლებით 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საოფისე ფართი	საწყობი	ავტოსადგომი	სულ
საბალანსო ღირებულება				
1 იანვარი 2019	-	-	-	**-**
ფასს 16-ის დანერგვის ეფექტი	114,075	206,704	322,142	**642,921**
31 დეკემბერი 2019	114,075	206,704	322,142	**642,921**
	-	-	-	**-**
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	**-**
1 იანვარი 2019	-	-	-	**-**
ცვეთის ხარჯი	22,815	56,935	64,430	**144,180**
31 დეკემბერი 2019	22,815	56,935	64,430	**144,180**
	-	-	-	**-**
წმინდა საბალანსო ღირებულება	-	-	-	**-**
31 დეკემბერი 2018	-	-	-	**-**
31 დეკემბერი 2019	**91,260**	**149,769**	**257,712**	**498,741**

ფასს 16-ის გამოყენებასთან დაკავშირებით კომპანიამ აღიარა აქტივი გამოყენების უფლებით. კომპანიას იჯარით აქვს აღებული საოფისე ფართი, საწყობები და ავტოსადგომი. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საიჯარო ხელშეკრულების დარჩენილი ვადა საოფისე ფართის, თბილისში არსებულ საწყობისა და ავტოსაგდომის შემთხვევაში 4 წელია, ხოლო რეგიონებში არსებული საწყობების შემთხვევაში ერთი წელი. ხელშეკრულება მოიცავს როგორც იჯარის გაგრძელების, ასევე შეწყვეტის უფლებას.

18. აქტივი დაბრუნების უფლებით და ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქტივი დაბრუნების უფლებით 35,834 ლარია, ხოლო ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულება 44,615 ლარი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქტივი დაბრუნების უფლებით 27,547 ლარია, ხოლო ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულება 35,537 ლარი.

19. გაცემული სესხები

გაცემული სესხები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გაცემული სესხები					**327,888**	**308,222**
შპს "ბიდი პლიუსი"	12%	ქართული ლარი	27-მაი-17	27-მაი-18	255,776	232,376
შპს "ბიდი პლიუსი"	10%	აშშ დოლარი	17-ივნ-16	23-ივნ-17	64,120	67,865
ფ/პ მანიჟაშვილი დავითი	20%	ქართული ლარი	01-თებ-13	01-მაი-13	7,982	7,981
შპს "აზტრეიდი"	8%	აშშ დოლარი	25-დეკ-17	25-თებ-18	10	-
შპს "აზტრეიდი"	8%	ევრო	28-მარ-19	27-მარ-20	-	-
გაუფასურების რეზერვი					**(124,492)**	**(274,290)**
სულ გაცემული სესხები					**203,396**	**33,932**

მისაღები პროცენტი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 125,300 ლარია, ძირითადი თანხა 202,588 ლარი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მისაღები პროცენტი 105,634 ლარია, ხოლო ძირითად თანხა 202,588 ლარი,

გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობის ანალიზი:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**გაცემული სესხები**	**სულ**
გაუფასურების ანარიცხი 1 იანვრისთვის	274,290	274,290
წლის დარიცხვა	45,202	45,202
რეზერვის აღდგენა წლის განმავლობაში	(195,000)	(195,000)
გაუფასურების ანარიცხი 31 დეკემბრისთვის	**124,492**	**124,492**

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**გაცემული სესხები**	**სულ**
გაუფასურების ანარიცხი 1 იანვრისთვის	228,972	228,972
წლის დარიცხვა	55,915	55,915
რეზერვის აღდგენა წლის განმავლობაში	(10,597)	(10,597)
გაუფასურების ანარიცხები 31 დეკემბრისთვის	**274,290**	**274,290**

20. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გასაყიდად გამიზნული მარაგი	2,994,597	2,698,703
საწვავი	19,720	31,704
სხვა მარაგი	433,367	177,232
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	**3,447,684**	**2,907,639**

ხარჯის სახით აღიარებული და გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში ასახული მარაგის ღირებულება შეადგენს 18,440,239 ლარს (2018: 15,256,125)

21. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	5,148,414	4,477,117
მოთხოვნები გაწეული მომსახურებიდან	1,008,126	792,899
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	27,034	24,168
სულ მოთხოვნები	**6,183,574**	**5,294,184**
საეჭვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(974,809)	(870,307)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**5,208,765**	**4,423,877**

საეჭვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობის ანალიზი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სულ
გაუფასურების ანარიცხი 1 იანვრისთვის	870,307	**870,307**
წლის დარიცხვა	671,405	**671,405**
რეზერვის აღდგენა წლის განმავლობაში	(566,903)	**(566,903)**
გაუფასურების ანარიცხი 31 დეკემბრისთვის	**974,809**	**974,809**

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სულ
გაუფასურების ანარიცხი 1 იანვრისთვის	544,855	**544,855**
წლის დარიცხვა	418,662	**418,662**
რეზერვის აღდგენა წლის განმავლობაში	(93,210)	**(93,210)**
გაუფასურების ანარიცხები 31 დეკემბრისთვის	**870,307**	**870,307**

22. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1,743,556	181,891
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	10,505	168,334
ნაღდი ფული სალაროში	-	42,888
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**1,754,061**	**393,113**

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე კლასიფიცირებულია როგორც არასარისკო.

23. საიჯარო ვალდებულება

საიჯარო ვალდებულება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
თავდაპირველი აღიარებისას	**642,921**	**-**
საპროცენტო ხარჯი	42,606	-
გადახდები წლის განმავლობაში	(169,399)	-
ნაშთი წლის ბოლოს	**516,128**	**-**

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მიმდინარე საიჯარო ვალდებულება	138,398	-
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	377,730	-
სულ საიჯარო ვალდებულება	**516,128**	**-**

31 დეკემბერი 2019	1 წლის განმავლობაში	1-3 წელი	3-5 წელი
საიჯარო გადახდები	171,799	281,950	139,774
ფინანსური ხარჯი	(33,402)	(38,607)	(5,386)
დღევანდელი ღირებულება	**138,397**	**243,343**	**134,388**

24. საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა

კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნია საგადასახადო ვალდებულება 43,212 ლარის ოდენობით, რომელიც ძირითადად მოიცავს ვალდებულებებს საბაჟოს წინაშე. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო ვალდებულება 153,043 ლარია.

25. მოკლევადიანი სესხები

მოკლევადიანი სესხები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან					**6,850,150**	**4,090,891**
ბაზის ბანკი	11%	ქართული ლარი	07-ნოე-18	08-თებ-21	1,850,150	-
ბაზის ბანკი	11%	ქართული ლარი	07-ნოე-19	09-მარ-20	5,000,000	4,090,891
სესხები სხვა წყაროებიდან					**1,697,446**	**1,474,467**
ფ.პ. ნინო ჭელიძე	8%	ევრო	22-ოქტ-18	22-ოქტ-19	320,950	311,485
ფ.პ. ნინო ჭელიძე	8%	აშშ დოლარი	10-ოქტ-18	10-ოქტ-19	286,770	272,230
ფ.პ. ნინო ჭელიძე	8%	აშშ დოლარი	18-დეკ-19	17-დეკ-20	143,385	135,669
ფ.პ. ირაკლი მესხიშვილი	8%	აშშ დოლარი	18-დეკ-19	17-დეკ-20	143,385	-
ფ.პ. ირაკლი მესხიშვილი	8%	აშშ დოლარი	05-ნოე-18	05-ნოე-19	573,540	539,221
ფ.პ. გიორგი მარგიანი	8%	აშშ დოლარი	31-ოქტ-18	31-ოქტ-19	143,385	135,530
ფ.პ. გიორგი მარგიანი	8%	აშშ დოლარი	29-დეკ-18	29-დეკ-19	86,031	80,332
სულ მოკლევადიანი სესხები					**8,547,596**	**5,565,358**

26. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო ვალდებულებები	411,188	1,053,338
დავალიანება თანამშრომლების წინაშე	54,493	50,675
სხვა	19,322	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**485,003**	**1,104,013**

27. კაპიტალი

2009 წლის 22 დეკემბრით დათარიღებული კომპანიის წესდების მიხედვით საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 1,000 ლარით. 2019 და 2018 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა დივიდენდები შესაბამისად 149, 895 ლარის და 4,014,094 ლარის ოდენობით.

გაუნაწილებელი მოგება წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში დარჩენილი წმინდა მოგების ნაწილს, რომელიც გაუნაწილებელი დარჩა.

28. ფინანსური რისკის მართვა

კომპანია დგას სხვადასხვა სახის რისკების წინაშე ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე. რისკის უმთავრესი სახეებია: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანიის მიერ გამოყენებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**21**	5,208,765	4,423,877
ფული და ფულის ეკვივალენტები	**22**	1,754,061	350,225
გაცემული სესხები	**19**	203,396	33,932
სულ ფინანსური აქტივები		**7,166,222**	**4,808,034**

ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მოკლევადიანი სესხები	25	8,547,596	5,565,358
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26	485,003	1,104,013
საიჯარო ვალდებულება	23	516,128	-
საგადასახადო ვალდებულებები	24	43,212	153,043
ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულება		44,615	35,537
სულ ფინანსური ვალდებულებები		**9,636,554**	**6,857,951**

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან.

კომპანია განიცდის საბაზრო რისკის მიმართ მგრძობიარობას.

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი - კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები.

28. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობიარობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	ფინანსური აქტივი	ფინანსური ვალდებულება	ნეტო პოზიცია 2019 წლის 31 დეკემბრისთვის
აშშ დოლარში	57,864	1,376,496	(1,318,632)
ევრო	764,076	320,950	443,126
სულ	**821,940**	**1,697,446**	**(875,506)**

	ფინანსური აქტივი	ფინანსური ვალდებულება	ნეტო პოზიცია 2018 წლის 31 დეკემბრისთვის
აშშ დოლარში	403,336	1,172,174	(768,838)
ევრო	631,082	313,675	317,407
სულ	**1,034,418**	**1,485,849**	**(451,431)**

	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
	ზეგავლენა მოგება-ზარალზე	ზეგავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	(131,863)	(76,884)
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	131,863	76,884
ევროს 10 %-ით გამყარება	44,313	31,741
ევროს 10 %-ით გაუფასურება	(44,313)	(31,741)

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის რისკი ეხება სესხების გადინების და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს, მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების დარეგულირება არსებითად მნიშვნელოვანია.

28. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1 დან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,754,061	-	-	-	**1,754,061**
პროცენტიან აქტივები					
გაცემული სესხები	203,396	-	-	-	203,396
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,208,765	-	-	-	5,208,765
სულ ფინანსური აქტივები	**7,166,222**	**-**	**-**	**-**	**7,166,222**
ფინანსური ვალდებულებები					
მოკლევადიანი სესხები	(8,547,596)	-			(8,547,596)
სულ პროცენტიან ვალდებულებები	**(8,547,596)**	**-**		**-**	**(8,547,596)**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(485,003)	-	-	-	(485,003)
საიჯარო ვალდებულება	(138,397)	(243,343)	(134,388)	-	(516,128)
სულ ფინანსური ვალდებულებები	**(9,170,996)**	**(243,343)**	**(134,388)**	**-**	**(9,548,727)**
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	**(2,004,774)**	**(243,343)**	**(134,388)**	**-**	**(2,382,505)**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლიკვიდურობის უარყოფითი წმინდა პოზიცია გამოწვეულია სს „ბაზისბანკისგან“ მიღებული მოკლევადიანი სესხის შედეგად, რომლის საბალანსო ღირებულება აღნიშნული თარიღისთვის შეადგენდა 5,000,000 ლარს. კომპანიამ აღნიშნული სესხი, საკრედიტო ხაზის ფარგლებში, აიღო 2019 წლის ნოემბერში და მიზნობრიობას წარმოადგენდა, საბრუნავი საშუალებების შევსება, რაც თავის მხრივ მომავალში ხელს შეუწყობს გაყიდვების მოცულობის ზრდას, კომპანიის მომგებიანობასა და ლიკვიდურობას. როგორც ეს აღწერილია შენიშვნა 28 - ში, აღნიშნული სესხი კომპანიამ დაფარა 2020 წლის იანვრიდან ივნისამდე პერიოდში ეტაპობრივად.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1 დან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	393,113	-	-	-	**393,113**
პროცენტიან აქტივები					
გაცემული სესხები	33,932	-	-	-	33,932
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,423,877	-	-	-	4,423,877
სულ ფინანსური აქტივები	**4,850,922**	**-**	**-**	**-**	**4,850,922**
ფინანსური ვალდებულებები					
მოკლევადიანი სესხები	(5,565,358)	-		-	(5,565,358)
სულ პროცენტიან ვალდებულებები	**(5,565,358)**	**-**	**-**	**-**	**(5,565,358)**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,104,013)	-		-	(1,104,013)
სულ ფინანსური ვალდებულებები	**(6,669,371)**	**-**	**-**	**-**	**(6,669,371)**
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	**(1,818,449)**	**-**	**-**	**-**	**(1,818,449)**

29. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები

ბასს 24-ის ,,დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირადაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.

ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;

გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირადაპირ სარგებლობენ ეს პირები.ქვემოთ, ცხრილის სახით, მოცემულია იმ გარიგებების საერთო მოცულობა, რომლებიც დაიდო შესაბამის დაკავშირებულ მხარეებთან.ქვემოთ, ცხრილის სახით, მოცემულია იმ გარიგებების საერთო მოცულობა, რომლებიც დაიდო შესაბამის დაკავშირებულ მხარეებთან.

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**2019 წლის 31 დეკემბერი**	**2018 წლის 31 დეკემბერი**
სხვა დაკავშირებული მხარე	75,476	25,507
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**5,208,765**	**4,423,877**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**2019 წლის 31 დეკემბერი**	**2018 წლის 31 დეკემბერი**
სხვა დაკავშირებული მხარე	(10,739)	(4,580)
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**(485,003)**	**(1,104,013)**
გაცემული სესხები	**2019 წლის 31 დეკემბერი**	**2018 წლის 31 დეკემბერი**
სხვა დაკავშირებული მხარე	2,211	33,932
სულ გაცემული სესხები	**203,396**	**33,932**
მოკლევადიანი სესხები	**2019 წლის 31 დეკემბერი**	**2018 წლის 31 დეკემბერი**
დამფუძნებლები	(588,852)	(755,082)
სულ მიღებული სესხი	**(8,547,596)**	**(5,565,358)**

29. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები (გაგრძელება)

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

საპროცენტო შემოსავალი	2019	2018
სხვა დაკავშირებული მხარე	23,400	39,815
სულ საპროცენტო შემოსავალი	**25,180**	**47,456**
საპროცენტო ხარჯი	**2019**	**2018**
დამფუძნებლები	(64,157)	(5,938)
სხვა დაკავშირებული მხარე	-	(17,255)
სულ საპროცენტო ხარჯი	**(490,378)**	**(149,357)**
არასაოპერაციო (ხარჯი)/ შემოსავალი	**2019**	**2018**
სხვა დაკავშირებული მხარე	71,065	72,760
სულ არასაოპერაციო (ხარჯი)/შემოსავალი	**(128,601)**	**230,079**
გაუფასურების რეზერვის ხარჯი	**2019**	**2018**
სხვა დაკავშირებული მხარე	118,630	52,162
სულ გაუფასურების რეზერვი	**1,099,301**	**1,144,597**

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ, ხელფასისა და სხვა სარგებლის სახით 2019 წლის შეადგინა 641,225 ლარი (2018: 614,995 ლარი).

30. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 ივლისს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- 2020 წლის თებერვალში კომპანიამ გამოაცხადა და გაანაწილა დივიდენდი 59,817 ლარის ოდენობით, ხოლო ივლისში 290,463 ლარის ოდენობით.
- 2020 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით კომპანიამ ეტაპობრივად დაფარა სს „ბაზისბანკისგან“ 2020 წელს აღებული სასესხო ვალდებულება, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 5,000,000 ლარით.
- 2020 წელს, მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ, 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. აღნიშნული ვითარების გამო საქართველოში, 2020 წლის 21 მარტს, გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა 1 თვის ვადით. შექმნილი ვითარების გამო, არა ერთი ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანია მიიჩნევს რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება. ნეგატიური ფაქტორები არ შეუშლის ხელს კომპანიას საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, როგორც ეს აღნიშნულია მე-2 განმარტებით შენიშვნაში.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

შპს „ბიდი კომპანი“

2019 წლის მმართველობის ანგარიშგება

სარჩევი

1. კომპანიის განვითარების გეგმები 3
2. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა 4
3. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ 5
4. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ 5
5. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია 7
6. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად 7

1. კომპანიის განვითარების გეგმები

შპს „ბიდი კომპანი“, ს/ნ 205295296, დაარსდა 2009 წლის 22 დეკემბერს. დამფუძნებლები არიან:

- გიორგი მარგიანი, პ/ნ 01030001911 - 75%
- დიმიტრი მესხიშვილი, კ/ნ 01007000792 - 25%

კომპანიის მთავარი სათათბირო და მმართველობითი ორგანო - „ბორდის“ შემადგენლობაში შედიან:

დიმიტრი მესხიშვილი	-	აღმასრულებელი დირექტორი
სოლომონ ნავდარაშვილი	-	რეგისტრირებული დირექტორი, გაყიდვები
აკაკი შარიქაძე	-	ფინანსური დირექტორი
ეკატერინე ანუაშვილი	-	მთავარი ბუღალტერი
მარი კალაჩიანი	-	ლოჯისტიკისა და ანალიტიკის განყოფილების უფროსი

„ბორდის“ ფუნქციებია: კომპანიის მიმდინარე საკითხების განხილვა/გადაწყვეტა, რგოლებს შორის კოორდინაცია/კომუნიკაცია, სტრატეგიული გეგმების განხილვა. მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლი.

კომპანიაში არსებობს დირექტორის დაქვემდებარებაში მყოფი შიდა აუდიტის ჯგუფი, რომლის ძირითადი ფუნქციაა კონსიგნაციით გაყიდვების კონტროლი და პრესეილერების ოპერაციების კოორდინაცია.

კომპანიაში არსებობს ე.წ. „გაფართოებული ბორდი“, რომელშიც დამატებით შედიან სუპერვაიზერები და საწყობის მენეჯერი. მისი ძირითადი ფუნქციაა კოორდინაცია/კომუნიკაცია.

შპს „ბიდი კომპანი“ 2018 წლის სექტემბრამდე იყო მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი საკონდიტრო ნაწარმის მწარმოებლის - “როშენი”-ს ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში. როშენი უკრაინული კომპანიაა, რომელიც 24-ე პოზიციას იკავებს Candy Industry Top 100 რეიტინგში. „როშენი“ უშვებს 350 დასახელების პროდუქციას, რომელიც გამოირჩევა მაღალი ხარისხით. როშენის ასორტიმენტის ნახვა შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: https://roshen.com/en/en/about-roshen/about-products.

„როშენმა“ 2018 წლის სექტემბრიდან გახსნა საკუთარი წარმომადგენლობა საქართველოში („როშენ ჯორჯია“) და დაიწყო თავისივე პროდუქციის დისტრიბუცია ჩვენს ქვეყანაში. ამის მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ ქართულ ბაზარზე საკმაოდ აგრესიულად შემოვიდა რუსული საკონდიტრო კომპანია „კადევე“, რომელმაც 2017 წელს გახსნა საკუთარი წარმომადგენლობა საქართველოში „კადევე ჯორჯია“-ს სახით და დაბალი ფასებიდან გამომდინარე შეავიწროვა კონკურენტების (მათ შორის „როშენი“) წილი ქართულ ბაზარზე.

ამავე პერიოდში მსოფლიოში ცნობილმა შოკოლადების მწარმოებელმა ბრენდმა ფერერო“-მ, გადაწყვიტა შეეცვალა თავისი პროდუქციის ექსკლუზიური დისტრიბუტორი საქართველოში და მოლაპარაკებას აწარმოებდა რამოდენიმე სადისტრიბუციო კომპანიასთან. 2018 წლის სექტემბერში „ფერერო“-მ არჩევანი გააკეთა შპს „ბიდი კომპანი“-ზე დისტრიბუციის მაღალი

1. კომპანიის განვითარების გეგმები (გაგრძელება)

ხარისხის და ჩვენი კომპანიის ბაზარზე არსებული იმიჯიდან გამომდინარე. „ფერერო“ არ გამოირჩევა ასორტიმენტის მრავალფეროვნებით, მაგრამ აწარმოებს ისეთი სახის პროდუქციას რომლებიც პრაქტიკულად უკონკურენტოა. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ „რაფაელო“, „ქინდერის“ კვერცხი და სხვა. “ფერერო”-ს ასორტიმენტის ნახვა შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე: https://www.ferrero.com. “ფერერო“ მე-2 პოზიციას იკავებს Candy Industry Top 100 რეიტინგში.

შპს „ბიდი კომპანი“ სადისტრიბუციო საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა). კომპანია მომხმარებელს პროდუქციას აწვდის დაახლოებით 3,000 პარტნიორი მაღაზიის მეშვეობით. ამათგან ყველაზე მსხვილი დამკვეთები არიან მაღაზიათა ქსელები - კარფური, ნიკორა, ორი ნაბიჯი.

ფერერო“-ს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჩვენი წინამორბედი დისტრიბუტორი კომპანიის წლიური ბრუნვა მერყეობდა 30-32 მილიონი ლარის ფარგლებში. „ბიდი კომპანი“-ს მიზანია წლიური რეალიზაცია გავზარდოთ 40 მილიონ ლარამდე. ამის საფუძველს გვაძლევს ის, რომ „ფერერო“-ს მიერ წარმოებული პროდუქცია ძირითადად განკუთვნილია ქსელური სუპერმარკეტებისთვის და ამ ფორმატის მაღაზიების განვითარების დინამიკას თუ დავაკვირდებით, ვითარდება აგრესიულად და შთანთქავს ახლომდებარე პატარა ფორმატის მაღაზიებს, სადაც ჩვენი პროდუქცია შედარებით ნაკლები რაოდენობით იყიდება.

ჩვენი კომპანია საკვების პროდუქტების დისტრიბუტორია, შესაბამისად ჩვენ მკაცრად ვაკონტროლებთ ჩვენი პროდუქციის ხარისხს, მისი შენახვის პირობებს (მოვაწყეთ ახალი სასაწყობო მეურნეობა ტემპერატურული კონტროლით და სხვა) და ვარგისიანობის ვადებს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენმა კომპანიამ თავისი კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილის ინვესტირება მოახდინა უძრავ ქონებაში, სამომავლოდ მაღალი ხარისხის ლოჯისტიკური ცენტრის მოსაწყობად.

საქართველოში საკვები პროდუქციის ხარისხს არეგულირებს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი და ასევე სხვა მარეგულირებელი აქტები. კოდექსი განსაზღვრავს სურსათის უვნებლობის ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებს, სურსათის მიკვლევადობასთან დაკავშირებულ ზოგად მოთხოვნებს დისტრიბუციისას, ბიზნესოპერატორის ვალდებულებებს, სურსათის ექსპორტისა და იმპორტის მოთხოვნებს, კოდექსის მოთხოვნათა დარღვევისათვის შესაბამის პასუხისმგებლობას.

ჩვენ სიამაყით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სრულად ვასრულებთ კანონის მოთხოვნებს, მჭიდროდ ვთანამშრომლობთ სურსათის ეროვნული სააგენტოსთან, რომელიც არის ჩვენი საქმიანობის სფეროს ძირითადი მაკონტროლებელი სახელმწიფო ორგანო. სააგენტოს მიერ ჩვენი პროდუქციის შემოწმების შედეგად არ დაუწესებია არანაირი სანქცია ან ჯარიმა.

2. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

კომპანია სისტემატურად აწარმოებს ბაზარზე არსებული ფასების, კონკურენტებისა და პროდუქციის შესწავლას, თუმცა ეს ხორციელდება შიდა ძალებით და არა რაიმე ოფიციალური კვლევის საფუძველზე.

3. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

ჩვენ ოპერაციებს ვახორციელებთ სათაო ოფისის მეშვეობით, არ გაგვაჩნია ფილიალები და ახლო მომავალშიც არ ვგეგმავთ ამ მოდელის შეცვლას. ჩვენთან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებულია 110 ადამიანი, მათ შორის: 39 დასაქმებულია ოფისში, დანარჩენი თანამშრომლები წარმოადგენენ გაყიდვებს (გაყიდვების მენეჯერები, პრისეილერები, დისტრიბუტორები/მძღოლები, მერჩენდაიზერები).

4. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

კომპანია დგას სხვადასხვა სახის რისკების წინაშე ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე. რისკის უმთავრესი სახეებია: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანიის მიერ გამოყენებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,208,765
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,754,061
გაცემული სესხები	203,396
სულ ფინანსური აქტივები	**7,166,222**

ფინანსური ვალდებულებები	31 დეკემბერი 2019
მოკლევადიანი სესხები	8,547,596
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	485,003
საიჯარო ვალდებულება	516,128
საგადასახადო ვალდებულებები	43,212
ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულება	44,615
სულ ფინანსური ვალდებულებები	**9,636,554**

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან.

კომპანია განიცდის საბაზრო რისკის მიმართ მგრძნობიარობას.

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი - კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები.

4. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობიარობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	ფინანსური აქტივი	ფინანსური ვალდებულება	ნეტო პოზიცია 2019 წლის 31 დეკემბრისთვის
აშშ დოლარში	57,864	1,376,496	(1,318,632)
ევრო	764,076	320,950	443,126
სულ	**821,940**	**1,697,446**	**(875,506)**

	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
	ზეგავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	(131,863)
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	131,863
ევროს 10 %-ით გამყარება	44,313
ევროს 10 %-ით გაუფასურება	(44,313)

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის რისკი ეხება სესხების გადინების და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს, მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების დარეგულირება არსებითად მნიშვნელოვანია.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1 დან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,754,061	-	-	-	**1,754,061**
პროცენტიან აქტივები					
გაცემული სესხები	203,396	-	-	-	203,396
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,208,765	-	-	-	5,208,765
სულ ფინანსური აქტივები	**7,166,222**	**-**	**-**	**-**	**7,166,222**
ფინანსური ვალდებულებები					
მოკლევადიანი სესხები	(8,547,596)	-			(8,547,596)
სულ პროცენტიან ვალდებულებები	**(8,547,596)**	**-**		**-**	**(8,547,596)**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(485,003)	-	-	-	(485,003)
საიჯარო ვალდებულება	(138,397)	(243,343)	(134,388)	-	(516,128)
სულ ფინანსური ვალდებულებები	**(9,170,996)**	**(243,343)**	**(134,388)**	**-**	**(9,548,727)**
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	**(2,004,774)**	**(243,343)**	**(134,388)**	**-**	**(2,382,505)**

4. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლიკვიდურობის უარყოფითი წმინდა პოზიცია გამოწვეულია სს „ბაზისბანკისგან“ მიღებული მოკლევადიანი სესხის შედეგად, რომლის საბალანსო ღირებულება აღნიშნული თარიღისთვის შეადგენდა 6,850,150 ლარს. კომპანიამ პარალელური საკრედიტო ხაზი ორი მილიონი ლარის ოდენობით აიღო 2019 წლის ნოემბერში ექვსი თვის ვადით და მიზნობრიობას წარმოადგენდა საბრუნავი საშუალებების შევსება (წინასაახალწლო პერიოდში კომპანია იქმნის მარაგებს და ასევე ეზრდება დებიტორული დავალიანების მოცულობა), რაც თავის მხრივ მომავალში ხელს შეუწყობს გაყიდვების მოცულობის ზრდას, კომპანიის მომგებიანობასა და ლიკვიდურობას. აღნიშნული სესხი კომპანიამ დაფარა 2020 წლის იანვრის თვეში.

5. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და შესაბამისად არ გააჩნია საკუთარი აქციები, არც სხვა რომელიმე ორგანიზაციის აქციებით ვაჭრობს.

6. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად. კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

დოკუმენტში ასახულია ყველა ის ძირითადი მომენტი, რომელიც საშუალებას მისცემს მის მკითხველს მაქსიმალური ობიექტურობით განსაზღვროს კომპანიის საქმიანობა, როგორც ფინანსური ასევე მენეჯმენტის კუთხით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოს მოთხოვნის თანახმად დოკუმენტი შეძლებისდაგვარად ლაკონიურად არის წარმოდგენილი.

პანდემიასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა

2020 წელს, მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ, 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. აღნიშნული ვითარების გამო საქართველოში, 2020 წლის 21 მარტს, გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა 1 თვის ვადით. შექმნილი ვითარების გამო, ინდუსტირების დიდი ნაწილი გამოწვევების წინაშე დადგა.

კომპანია მიიჩნევს რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება. თუმცა, ჯერ ნაადრევია ზუსტი პროგნოზის გაკეთება თუ რა გავლენა

6. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად (გაგრძელება)

ექნება კრიზისს მის საქმიანობაზე. ასევე, განუსაზღვრელია თუ რა დრო დასჭირდება აღნიშნული კრიზისიდან გამოსვლას, ასეთი გლობალური სახის ინტეგრირებული კრიზისი პირველია ქართული ბიზნესის ისტორიაში და კორპორატიულ გამოცდილებას მსგავსი შემთხვევა არ ახსოვს. კომპანია მონაწილეობას იღებს COVID-19-თან ბრძოლაში, რაც გამოიხატება შემდეგი ღონისძიებების განხორციელებაში: შეთავაზებულია დისტანციური მუშაობა და მოქნილი სამუშაო საათები თანამშრომლებისთვის.

დიმიტრი მესხიშვილი _____
აღმასრულებელი დირექტორი
30 ივლისი, 2020 წ.
თბილისი, საქართველო

აკაკი შარიქაძე _____
ფინანსური მენეჯერი
30 ივლისი, 2020 წ.
თბილისი, საქართველო

6. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად (გაგრძელება)

ექნება კრიზისს მის საქმიანოაბზე. ასევე, განუსაზღვრელია თუ რა დრო დასჭირდება აღნიშნული კრიზისიდან გამოსვლას, ასეთი გლობალური სახის ინტეგრირებული კრიზისი პირველია ქართული ბიზნესის ისტორიაში და კორპორატიულ გამოცდილებას მსგავსი შემთხვევა არ ახსოვს. კომპანია მონაწილეობას იღებს COVID-19-თან ბრძოლაში, რაც გამოიხატება შემდეგი ღონისძიებების განხორციელებაში: შეთავაზებულია დისტანციური მუშაობა და მოქნილი სამუშაო საათები თანამშრომლებისთვის.

დიმიტრი მესხიშვილი _____

აღმასრულებელი დირექტორი

30 ივლისი, 2020 წ.

თბილისი, საქართველო

აკაკი შარიქაძე _____

ფინანსური მენეჯერი

30 ივლისი, 2020 წ.

თბილისი, საქართველო